ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №277495

ნომერი: AR166765

თარიღი : 16.07.2012

გაცემის თარიღი : 24.07.2012

გაცნობის თარიღი : 24.07.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , N8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ბიბილური პ/ნ 01001008128
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 12 ბ. 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისი, სექტორი, დიდუბე, ცაბაძის ქ. #8–ში არსებულ მაღაზიასთან, გარე ვაჭრობის განხორციელების მიზნით, დროებითი ნაყინის ჩამოსასხმელი აპარატის განთავსებას. გაცნობებთ, რომ ადგილი, რომელიც თქვენს მიერ არის შერჩეული მდებარეობს ქალაქის ერთ–ერთ მთავარ ქუჩაზე, არსებული მაღაზიის გვერდით, რომელიც ატარებს უკვე ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ იერსახეს და მის წინ ნაყინის ჩამოსასხმელი აპარატის განთავსება სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. შესაძლებელია მისი განთავსება მაღაზიაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.